**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

01/09/2026

MES 1 26 0001128222

გადაწყვეტილება

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის და მე-5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, 82 - ე მუხლის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას (ს/კ: 209467628) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.
2. სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1).
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 17 აგვისტოდან.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 01 სექტემბრის №1136732 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - სახელმწიფო უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიის შესახებ, ცნობილი იქნან გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საბჭოში ან/და ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო

დანართი 1. უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის მონაცემები

№	პროგრამის დასახელება	უმაღლესი განათლების საფეხური	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/პირო ბით აკრედიტებული/საერ თაშორისო აკრედიტაცია)	შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი და ნომერი
1	საზოგადოებრივი უსაფრთხოება და საპოლიციო საქმე	ბაკალავრიატი	ქართული	საზოგადოებრივი უსაფრთხოების და საპოლიციო საქმის ბაკალავრი 1032 ადამიანებისა და საკუთრების დაცვა	180	ახალი	-